თამარ ზამბახიძე

თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე

აკადემიური საქმიანობა და გამოვლენილი თვისებები/ქცევა	2
პროფესიულ საქმიანობაში გამოვლენილი გადაცდომები (დისციპლინური წარმოება, პროფესიული ეთიკა)	8
დაწინაურებები და პროფესიული საქმიანობისთვის მინიჭებული ჯილდოები / სტიპენდიები	8
კანონთან კონფლიქტი, ინტერესთა კონფლიქტი	9
კანდიდატის საჯარო აქტივობები / პოზიციები და ქცევა	9
კანდიდატის ფინანსური ვალდებულებები და შემოსავლები	14

1999-2005 წლებში კანდიდატი თამარ ზამბახიძე მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრაზე – ჯერ მასწავლებლის, ხოლო შემდეგ დოცენტის პოზიციაზე. 2005-2007 წლებში მას თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობა ეკავა. 2007-2017 წლებში თამარ ზამბახიძე იყო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე, 2017 წლის 11 მაისიდან კი კანდიდატი 3 წლის ვადით განწესდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში.

ღია საზოგადოების ფონდი

1. კანდიდატის პროფესიული/ აკადემიური საქმიანობა და გამოვლენილი თვისებები/ქცევა

1. გადაწყვეტილებები, განსხვავებული აზრი, სასამართლო წარდგინებები

1.1. სამართლებრივად საინტერესო ან პრეცედენტული გადაწყვეტილებები

სამართლებრივი საკითხი: დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ განჩინების გაუქმება.

ფაქტები: 2018 წლის 22 ოქტომბერს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, თამარ ზამბახიძის მონაწილეობით, მიიღო გადაწყვეტილება განჩინებაზე, რომელიც ეხებოდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებას.

დავა უკავშირდებოდა ზიანის ანაზღაურებას, რომლის მხარეებიც იყვნენ ფიზიკური პირი და საჯარო დაწესებულება. სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი გახდა მოპასუხის გამოუცხადებლობა სასამართლო სხდომაზე, რაც მოპასუხემ გაასაჩივრა, თუმცა ორივე ინსტანციის სასამართლომ განჩინება ძალაში დატოვა. მხარე ამტკიცებდა, რომ პროცესზე მისი გამოუცხადებლობა განპირობებული იყო საპატიო მიზეზით, კერძოდ, პროცესის ზუსტი დრო მას მხოლოდ სხდომის დასრულების შემდეგ აცნობეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ მიიჩნია, რომ მხარეს სასამართლო უწყება სხდომის ჩატარების თარიღის შესახებ კანონით დადგენილი წესით მიეწოდა; შესაბამისად, სხდომაზე მისი გამოუცხადებლობის დასაბუთება არ იყო საპატიო მიზეზი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაუქმებლად.

საქმის მნიშვნელობა: ამ საქმეში სასამართლომ იმსჯელა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლებზე, სამართლიანი სასამართლოს უფლებასა და მხარეთა თანასწორობის პრინციპებზე დაყრდნობით.

გადაწყვეტილება:

- სააპელაციო სასამართლომ მხარის მოთხოვნა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებაზე განიხილა სამართლიანი სასამართლოს უფლების ჭრილში და განმარტა, რომ ეს უფლება ითვალისწინებს სასამართლოს მიერ საქმის დროული და ეფექტიანი გადაწყვეტის ვალდებულებას.
- სასამართლომ აღნიშნა: **„იმ პირობებში, თუ პროცესში მონაწილე მხარეებს სხდომის გადადების მოთხოვნის შესაძლებლობა მიეცემათ დაუსაბუთებელი და არაარგუმენტირებული მიზეზების არსებობისას, მაშინ საქმის დროული და ეფექტური გადაწყვეტა შეუძლებელი გახდება, რაც უდავოდ დაარღვევს როგორც მოსარჩელე მხარის სამართლიანი სასამართლოს უფლებას, ასევე ეჭვქვეშ დააყენებს პროცესში მონაწილე მხარეთა უფლებების თანაბრად დაცვის ვალდებულებას“.**

- სასამართლომ ასევე აღნიშნა **„...ფიზიკურ პირებთან მიმართებით მათი სივრცობრივი და უფლებრივი უპირატესობის გათვალისწინებით,** საჯარო დაწესებულებამ მაღალი ლეგიტიმაციის მქონე არგუმენტებით **უნდა დაასაბუთოს სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის მიზეზი, რაც განსახილველ შემთხვევაში არ განხორციელებულა, მხოლოდ დავის საგნის მიმართ ინტერესის არსებობა კი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების კანონისმიერ საფუძვლად ვერ იქნება მიჩნეული.“**

სამართლებრივი საკითხი: ბრძანებების ბათილად ცნობა, კომპენსაციის დაკისრება

ფაქტები: 2017 წლის 12 ოქტომბერს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლემ, თამარ ზამბახიძემ, განიხილა შრომითსამართლებრივი დავა, რომელიც შეეხებოდა შპს Georgian Water and Power-ის ერთ-ერთი თანამშრომლის სამსახურიდან გათავისუფლებას.

მოსარჩელე ითხოვდა რეორგანიზაციის საფუძველზე თანამდებობიდან გათავისუფლების ბრძანების ბათილად ცნობას და კომპენსაციას. სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, რაც ორივე მხარემ გაასაჩივრა. სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა (შეცვალა გადაწყვეტილება კომპენსაციის რაოდენობის ნაწილში). პალატამ მოპასუხის (შპს Georgian Water and Power) საჩივარი არ დააკმაყოფილა.

საქმის მნიშვნელობა: ამ საქმეში სასამართლო მსჯელობს დასაქმებულის უფლებებსა და მტკიცების ტვირთზე რეორგანიზაციის პროცესში.

გადაწყვეტილება:

- მოსამართლე შრომის უფლების შესახებ მსჯელობს ისეთ დოკუმენტებზე დაყრდნობით, როგორიცაა: საქართველოს კონსტიტუცია; საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ; და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია.
- სასამართლომ განმარტა, რომ დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა საწარმოს რეორგანიზაციაზე მითითებით, თავისთავად, არ გულისხმობს ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლიანობას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაზე[1] მითითებით, მოსამართლემ ხაზი გაუსვა მტკიცების ტვირთის საკითხს: **„როდესაც დამსაქმებელი რეორგანიზაციის გადაწყვეტილებას იღებს, უნდა დარწმუნდეს, რომ აღნიშნული ნაბიჯი შეესაბამება ორგანიზაციის ინტერესებს და, ამავე დროს, გაუმართლებლად არ ხელყოფს დასაქმებულთა კანონიერ უფლებებს. დამსაქმებლის გადაწყვეტილება მოითხოვს დასაბუთებას, გარკვეულ გათვლებს, რეორგანიზაციამდე არსებული სტრუქტურისა და მომავალი სტრუქტურის შედარებას, რეორგანიზაციის დადებითი და უარყოფითი მხარეების განსაზღვრას“.**

- მოსამართლე დამსაქმებელს მიიჩნევს ძლიერ მხარედ, რომელსაც გარკვეული ვალდებულებები ეკისრება თავისი დასაქმებულის – სუსტი მხარის მიმართ.
  „სასიცოცხლოდ აუცილებელია წონასწორობის დამყარება შრომითი ურთიერთობის მონაწილე მხარეებს შორის. ძლიერი მხარის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას, არ უნდა დაგვავიწყდეს სუსტი მხარის ინტერესები. მუშაკის დათხოვნის გონივრული საფუძველი კავშირში უნდა იყოს:
  ა) მუშაკის არაკომპეტენტურობასა ან/და არასათანადო ქცევასთან, ან:
  ბ) მომდინარეობდეს საწარმოს, დაწესებულების თუ მათი სერვისის ოპერაციული საჭიროებიდან.“

---

[1] **საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმეზე №ას-115-111-2016, 8 აპრილი, 2016 წელი.**

სამართლებრივი საკითხი: შრომითი უფლებები, პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა და მორალური ზიანის ანაზღაურება.

ფაქტები: 2018 წლის 12 ივლისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლემ, თამარ ზამბახიძემ, ერთპიროვნულად განიხილა საქმე, რომელიც შეეხებოდა პირის სამსახურიდან გათავისუფლებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივარი და ბათილად ცნო დამსაქმებლის ბრძანება სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ, იმ მოტივით, რომ დასაქმებულს უხეშად არ დაურღვევია შრომითი ხელშეკრულებით/შინაგანაწესით დაკისრებული ვალდებულებები. ამასთან, პალატამ დამსაქმებელს დასაქმებულის სასარგებლოდ დააკისრა კომპენსაციის გადახდის ვალდებულება, ვინაიდან საქმის განხილვის მომენტისთვის აღარ არსებობდა დასაქმებულის მიერ დაკავებული ანდა მისი ტოლფასი თანამდებობა. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია მოსარჩელის პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტი, რის საფუძველზეც დამსაქმებელს, დასაქმებულის სასარგებლოდ, დამატებით დააკისრა მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

საქმის მნიშვნელობა: ამ საქმეში სასამართლომ იმსჯელა შრომით ურთიერთობებში დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის ურთიერთობების არაერთ ასპექტზე.

გადაწყვეტილება:

- მოსამართლე, დამსაქმებლის გადაწყვეტილების მართლზომიერების დასადგენად, სწორად იყენებს Ultima Ratio-ს პრინციპს, რომლის მიხედვითაც: **„დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლება უნდა იქნას გამოყენებული მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დასაქმებულის მიმართ, მის მიერ ჩადენილი გადაცდომის (დარღვევის) ხასიათიდან და სიმძიმიდან გამომდინარე, უფრო მსუბუქი სანქციის შეფარდებას აზრი აქვს დაკარგული“**. სასამართლომ მიიჩნია, რომ დამსაქმებელმა დაარღვია ზემოაღნიშნული პრინციპი.
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაზე დაყრდნობით,[2] სასამართლო ხაზგასმით გამოყოფს მოსარჩელისა და მოპასუხის სამტკიცებელ გარემოებებს. კერძოდ, მისი განმარტებით: **„იმ შემთხვევაში, თუ აღარ არსებობს თანამდებობა, რომელზე აღდგენასაც ითხოვს მხარე, კონკრეტული საშტატო ერთეულის არარსებობის მტკიცება ეკისრება დამსაქმებელს, ხოლო აღნიშნულის დამტკიცების შემთხვევაში, მოწინააღმდეგე მხარეზე გადადის მტკიცების ტვირთი, მიუთითოს და დაამტკიცოს, თუ რომელია ტოლფასი (ფუნქციის, სამუშაოს აღწერილობისა და ხელფასის მიხედვით) თანამდებობა, რომელზეც მისი დასაქმება არის შესაძლებელი. ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის მოთხოვნისას, ამ გარემოების მტკიცების ტვირთი დასაქმებულებს (და არა დამსაქმებლებს) ეკისრებათ“.**
- მტკიცების ტვირთის განაწილების საკითხის დასაბუთებისას, მოსამართლე დაეყრდნო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკასაც[3] და მიიჩნია, რომ მოსარჩელე მხარემ შეძლო სასამართლოსთვის ისეთი ფაქტებისა და მტკიცებულებების წარმოდგენა, რომლებიც იძლეოდა საკმარის საფუძ-

---

[2] სუსგ ას-931-881-2015, 29.01.2015წ; № ას -951-901-2015,29.01.2016წ; ას-902-864-2014, 30.03.2015 წ; Nას-475-456-2016, 24.06.2016წ; N ას-665-636-2016, 09.12.2016წ;N ას- 969 -934 -2016, 17.03.2017წ; N ას-1032-993-2016, 31.03.2017წ; ას-761-712-2017, 10.07.2017.

[3] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: Chassagnou and Others v. France [GC], no.25088/94, N28331/95; Nachova and Others v. Bulgaria [GC], no.43577/98 და 43579/98; ECHR 2005; Aktas v. Turkey , no.24351/94, § 272, ECHR 2003 V; Salman v . Turkey GC], no.21986 /93, § 100, ECHR 2000-VII; Anguelova v. Bulgaria, no. 38361/97, § 111, ECHR 2002-IV.

ველს მის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის (შრომის უფლების დისკრიმინაციულად შელახვის) ვარაუდისათვის, მოპასუხე მხარემ კი ვერ დაძლია საწინააღმდეგოს მტკიცების ტვირთი.

- მოსამართლე საქმეში სადავო დისკრიმინაციული მოპყრობის შესაფასებლად ეყრდნობა საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს კანონს დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, და ადგილობრივ თუ საერთაშორისო პრაქტიკას.[4]

სასამართლო განმარტავს: **„განსხვავებული მოპყრობა უნდა არსებობდეს კანონმდებლობით აღიარებული რომელიმე უფლებით ან სიკეთით სარგებლობასთან მიმართებით, რამეთუ ცალკე აღებული დისკრიმინაციის ინსტიტუტი დამოუკიდებელ დაცვას არ ექვემდებარება. ამდენად, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისათვის უნდა არსებობდეს დაცული სფერო – უფლება, რომელშიც ხდება ჩარევა; კომპარატორი – ანალოგიურ ან არსებითად მსგავს ურთიერთობაში მყოფი პირი; და ამ ორ პირს შორის მთავარი განსხვავება წარმოადგენს ე.წ „დაცულ სფეროს“. ამ ფაქტების საპირისპიროდ, ჩარევის გამართლება გონივრული და წონადი არგუმენტებით ეკისრება განსხვავებული მოპყრობის ინიციატორს“.**

- მოსამართლემ დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა მიიჩნია საკმარის საფუძვლად, რომ მოპასუხეს დაკისრებოდა მოსარჩელის მიმართ მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

„პალატა მიუთითებს, რომ დისკრიმინაციული მოპყრობის არსებობა ავტომატურად იძლევა მორალური ზიანის ანაზღაურების საშუალებას, ხოლო დამდგარი ზიანის სიმძიმის, დაზარალებულის სუბიექტური დამოკიდებულების, მორალური ზიანის მიმართ განცდების ინტენსივობისა და შელახული უფლების მნიშვნელობის გათვალისწინებით, სასამართლო განსაზღვრავს მორალური ზიანის ოდენობას. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ მორალური ზიანის მიყენება შეიძლება უკავშირდებოდეს როგორც უშუალოდ დისკრიმინაციულ მოპყრობას და ამის ნიადაგზე სამსახურიდან გათავისუფლების მომენტს, ასევე მორალური ზიანი შესაძლოა დადგეს მოგვიანებით, უმუშევრობის მდგომარეობის, აქტიური ცხოვრების შეუძლებლობის, ცხოვრების წესისა და რითმის შეცვლის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. ...მორალური ზიანი, თავისი შინაარსით, არამატერიალური ცნებაა და აქედან გამომდინარეობს კანონის დანაწესი მისი ოდენობის დასადგენად მხოლოდ გონივრულობის, სამართლიანობისა და არა რაიმე ფაქტობრივი მატერიალური დანაკარგის გათვალისწინების თაობაზე“.

სამართლებრივი საკითხი: მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება

ფაქტები: 2019 წლის 28 თებერვალს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, თამარ ზამბახიძის მონაწილეობით, სააპელაციო წესით განიხილა სამედიცინო დაწესებულების საჩივარი. პირველი ინსტანციის სასამართლოში სარჩელი აღძრა პირმა იმ საფუძვლით, რომ სამედიცინო დაწესებულების ექიმმა თვალზე ოპერაცია წარუმატებლად ჩაუტარა. ის ითხოვდა მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურებას. თბილისის საქალაქო სასამართლომ მოსარჩელის მოთხოვნა ნაწილობრივ დააკმაყოფილა და სამედიცინო დაწესებულებას მორალური ზიანის ანაზღაურება დააკისრა.

სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

საქმის მნიშვნელობა: გადაწყვეტილება ეხება სასამართლო პრაქტიკის განვითარებისთვის მნიშვნელოვან საკითხს.

---

[4] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: Willis v. the United Kingdom, no.36042/97; Konstantin Markin v. Russia, no.30078/06; Petrovic v. Austria, no.20458/92; D.H. and others v. the Czech Republic, no.13378/05

გადაწყვეტილება:

- მხარე აპელირებდა, რომ მის მიმართ ჩატარებული მკურნალობა იყო უშედეგო, რის საფუძველზეც ითხოვდა მატერიალური ზიანის ანაზღაურებას. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, **„უშედეგო მკურნალობა ან მკურნალობის უარყოფითი შედეგი თავისთავად (უალტერნატივოდ) არ იწვევს სამედიცინო პერსონალის პასუხისმგებლობას“.**
  - სააპელაციო სასამართლომ ეს პოზიცია დაასაბუთა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მითითებით.[5]
- ამასთან, მოსამართლეებმა პაციენტისთვის არასრულყოფილად და გაუგებრად მიწოდებული ინფორმაცია მიიჩნიეს საფუძვლად, რომ სამედიცინო დაწესებულებისთვის დაეკისრებინათ მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.
  - **„სასამართლო ვერ განიხილავს მოსარჩელის ნებას, როგორც „ინფორმირებული თანხმობის“ ლეგიტიმურობის მაჩვენებელს, მით უფრო ისეთ პირობებში, როდესაც იგი არ შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით „ინფორმირებული თანხმობის“ ლეგიტიმურად მიჩნევისთვის სავალდებულო კრიტერიუმებს, როგორიცაა: მკაფიოდ გამოხატული; გაცნობიერებული, ნებაყოფლობითი და ინფორმირებული.“**[6]
- გადაწყვეტილების დასაბუთებისას სასამართლო დაეყრდნო საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებს სამედიცინო პერსონალის პასუხისმგებლობის,[7] მტკიცებულებებისა[8] და არამატერიალური ზიანის ანაზღაურების შეფასებაზე.[9]
- პაციენტის უფლების დარღვევის შეფასებისას, სასამართლო არ დაეყრდნო საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებებს, თუმცა მიუთითა ევროპის საბჭოს კონვენცია „ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ“.[10] პაციენტის ინფორმირებული თანხმობის საკითხის განხილვისას, მან მოიხმო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი – „პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემა“. ეროვნული სასამართლოს როლთან მიმართებით, მტკიცებულებებსა და პაციენტის ინფორმირებულობაზე მსჯელობისას, მან მოიშველია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა.[11]

1.2. გახმაურებული საქმეები

ე.წ „ღვინის ქარხნის საქმე“

კანდიდატი თამარ ზამბახიძე ფიგურირებს ე.წ. „ღვინის ქარხნის საქმეში“. თბილისის სააპელაციო სასამართლო საქმეს განიხილავდა შემდეგი შემადგენლობით: ქეთევან მესხიშვილი – პალატის თავმჯდომარე, მომხსენებელი მოსამართლე, თამარ ალანია, თამარ ზამბახიძე.

თბილისში, პეტრიაშვილის ქ. N1-ში მდებარე ღვინის ქარხნის ისტორიული შენობა დღევანდელმა მესაკუთრეებმა საქართველოში მოქმედი ორი ყველაზე მსხვილი კომერციული ბანკისგან გამოისყიდეს.

---

[5] **საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე Nას-260-244-11; ამ საქმეში უზენაესმა სასამართლომ განმარტა: მატერიალური ზიანის ანაზღაურებისათვის, „ზიანი გამოწვეული უნდა იყოს მკურნალობისას დაშვებული შეცდომებით, ანუ, თუ მკურნალობა სწორადაა ჩატარებული, თუნდაც მას უარყოფითი შედეგი მოჰყვეს, ექიმის პასუხისმგებლობას არ იწვევს.“**

[6] **სასამართლომ ამ ნაწილში მიუთითა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე V.C. v. Slovakia, no.18968/07, 2011;**

[7] **საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე Nას-260-244-11.**

[8] **საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე Nას-28-25-2017.**

[9] **საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 19 მარტის განჩინება საქმეზე Nას-912-874-2014 და 2011 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე Nას-762-818-2011.**

[10] **ევროპის საბჭოს კონვენცია ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ (1997).**

[11] **Garcia Ruiz v. Spain [GC], no.30544/96, იანვარი, 1999, სტრასბურგი, გვ. 28.**
AFFAIRE FARANGE S.A. c. FRANCE, no. 77575/01, ივლისი, 2006, სტრასბურგი.
V.C. v. Slovakia, no. 18968/07, ნოემბერი, 2011, სტრასბურგი.

2014 წლის 23 დეკემბერს ქარხნის შემძენთა (მოქმედი მესაკუთრე) მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოში დაიწყო სამოქალაქო დავა. მოსარჩელე გახლდათ სააქციო საზოგადოება „სავანე ღვინის N1 ქარხანა“, რომლის წარმომადგენელიც იყო საქართველოს ყოფილი გენერალური პროკურორი, არჩილ კბილაშვილი. მოსარჩელე სასამართლოსგან ითხოვდა პეტრიაშვილის ქუჩაზე მდებარე უძრავი ქონების (ღვინის ქარხნის ტერიტორია, მასზე არსებული შენობებით) გადაცემას სს „სავანე ღვინის N1 ქარხნისათვის“, იმ საფუძვლით, რომ 2004-2006 წლებში სს „სავანე-ღვინის N1 ქარხანამ“ დაკარგა ამ ქონებაზე საკუთრების უფლება მისი დირექტორებისა და აქციონერთა ერთი ნაწილის დანაშაულებრივი ქმედების შედეგად, და ამ პროცესში უშუალოდ მონაწილეობდნენ საქართველოს გენერალური პროკურატურის იმდროინდელი გამომძიებლები და პროკურორები.[12]

2015 წლის 21 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ (მოსამართლე ლაშა ქოჩიაშვილი) მოსარჩელეს, სს „სავანე ღვინის N1 ქარხანას“, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი უთხრა, რაც მან გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში. 2016 წლის 20 ოქტომბერს თბილისის სააპელაციო სასამართლომ (შემადგენლობა: ქეთევან მესხიშვილი – მომხსენებელი მოსამართლე, თამარ ალანია, თამარ ზამბახიძე) ასევე არ დააკმაყოფილა სს „სავანე ღვინის N1 ქარხნის“ სარჩელი, ანუ სრულად დატოვა ძალაში თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრით გასაჩივრდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

2018 წლის 18 თებერვალს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ (შემადგენლობა: ბესარიონ ალავიძე – მომხსენებელი მოსამართლე, ზურაბ ძლიერიშვილი, პაატა ქათამაძე) ქვედა ორ ინსტანციაში მოგებული დავა განსახილველად დააბრუნა თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

ამ საქმეზე სააპელაციო კოლეგიამ, 2018 წლის თებერვლიდან 2019 წლის 19 ივნისის ჩათვლით, ექვსი სხდომა ჩაატარა, თუმცა შემაჯამებელი გადაწყვეტილებები არ მიუღია სხდომების გადადების გამო, საბოლოოდ კი კოლეგია დაიშალა.

საზოგადოებაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კოლეგიაზე ხდებოდა ზეწოლა მისი თავმჯდომარის საქმისგან ჩამოსაშორებლად, რადგან მასზე ზეგავლენა ვერ მოახდინეს.[13]

1.3. უზენაესი / საკონსტიტუციო და საერთაშორისო / რეგიონული სასამართლოების პრაქტიკის გამოყენება

გადაწყვეტილებების დასაბუთების ნაწილში მოსამართლე აქტიურად იყენებს საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოების პრაქტიკას.

შრომითსამართლებრივ დავებში მტკიცების ტვირთის განაწილების შეფასებისას მითითებულია ადგილობრივი[14] და საერთაშორისო[15] პრაქტიკა.

ერთ-ერთ საქმეში დისკრიმინაციის საკითხი შეფასებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით[16], საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში.

[12] https://www.timer.ge/skandali-akhdens-thu-ara-gavlenas-archil-kbilashvili-sasamarthlo-kolegiaze/

[13] იხ. ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის სიუჟეტი: http://rustavi2.ge/ka/news/139787

[14] სუსგ ას-931-881-2015, 29.01.2015წ; № ას -951-901-2015,29.01.2016წ; ას-902-864-2014, 30.03.2015 წ; Nას-475-456-2016, 24.06.2016წ; N ას-665-636-2016, 09.12.2016წ;N ას- 969 -934 -2016, 17.03.2017წ; N ას-1032-993-2016, 31.03.2017წ; ას-761-712-2017, 10.07.2017.

[15] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: Chassagnou and Others v. France [GC], no.25088/94, N28331/95; Nachova and Others v. Bulgaria [GC], no.43577/98 და 43579/98; ECHR 2005; Aktas v. Turkey no.24351/94, § 272, ECHR 2003 V; Salman v . Turkey GC], no.21986/93, § 100, ECHR 2000-VII; Anguelova v. Bulgaria, no. 38361/97, § 111, ECHR 2002-IV.

[16] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: Willis v. the United Kingdom, no.36042/97; Konstantin Markin v. Russia, no.30078/06; Petrovic v. Austria, no.20458/92; D.H. and others v. the Czech Republic, no.13378/05

2. პროფესიულ საქმიანობაში გამოვლენილი გადაცდომები (დისციპლინური წარმოება, პროფესიული ეთიკა)

1. დისციპლინური წარმოება – არსებული საჩივრები

- სადისციპლინო კოლეგიას კანდიდატის მიმართ დისციპლინური სახდელი ან ზემოქმედების ღონისძიება არ გამოუყენებია.

2. პროფესიული ეთიკის ნორმების სავარაუდო დარღვევა

- ეთიკის ნორმების დარღვევა არ ფიქსირდება.

3. დაწინაურებები და პროფესიული საქმიანობისთვის მინიჭებული ჯილდოები / სტიპენდიები

1. კარიერული განვითარება

- კანდიდატი თამარ ზამბახიძე 1998 წელს მუშაობდა სს „საქართველოს ბანკის“ საკრედიტო დეპარტამენტის პრობლემურ კრედიტებთან მუშაობის განყოფილების უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე.
- 1999-2004 წლებში იგი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის პედაგოგი, ხოლო 2004-2005 წლებში – ამავე კათედრის დოცენტი.
- 2005-2007 წლებში თამარ ზამბახიძე გახლდათ თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე, ხოლო 2007-2017 წლებში – თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე. 2017 წლის 11 მაისიდან კანდიდატი 3-წლიანი ვადით დაინიშნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში.
- 2005 წლიდან დღემდე მოსამართლე თამარ ზამბახიძე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორია.

2. მიღებული ჯილდო / სტიპენდია

- მოსამართლე თამარ ზამბახიძეს არ აქვს მიღებული ჯილდო/სტიპენდია.

4. კანონთან კონფლიქტი, ინტერესთა კონფლიქტი

1. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევები / ჯარიმები, სასამართლო დავები

- კანდიდატი თამარ ზამბახიძე ნასამართლევი არ არის.
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევები ფიქსირდება საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო.
- 2017 წელს მოსამართლე თამარ ზამბახიძე საჯარო სამსახურის ბიურომ დააჯარიმა, ვინაიდან კანდიდატის მიერ წარდგენილ ქონებრივ დეკლარაციაში არ იყო სრული ინფორმაცია მისი მეუღლის სამეწარმეო საქმიანობაზე. კერძოდ, მან არ მიუთითა მეუღლის კავშირი ორ საწარმოსთან, რომლებიც დეკლარაციის შევსების მომენტისთვის არ ეწეოდნენ ეკონომიკურ საქმიანობას, არ ჰქონდათ ბრუნვა და შემოსავალი. აღსანიშნავია, რომ დღეს მოქმედი კანონმდებლობით, ასეთ საწარმოზე მიუთითებლობა აღარ არის დაჯარიმების საფუძველი.
- სასამართლო დავებში კანდიდატი თამარ ზამბახიძე არ მონაწილეობდა მხარედ.

2. პარტიული კუთვნილება, ინტერესთა კონფლიქტი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთან, კავშირი პოლიტიკოსებთან / გავლენიან ადამიანებთან

- მოსამართლე თამარ ზამბახიძე არასოდეს ყოფილა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი.
- მისი კავშირი პოლიტიკოსებსა ან გავლენიან ადამიანებთან არ იკვეთება.
- თამარ ზამბახიძის მამა, ტარიელ ზამბახიძე, არის სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ადმინისტრაციის იურიდიული სამმართველოს უფროსი.

5. კანდიდატის საჯარო აქტივობები / პოზიციები და ქცევა

1. სოციალურ ქსელში დაფიქსირებული მოსაზრებები

კანდიდატ თამარ ზამბახიძის პერსონალური ანგარიში რეგისტრირებულია სოციალურ ქსელში Facebook, თუმცა იგი არ აფიქსირებს საჯარო მოსაზრებებს თავის გვერდზე.

2. თამარ ზამბახიძის საჯარო განცხადებები

2.1 განცხადება ასოციაცია „საქართველოს მოსამართლეთა ერთობის“ დატოვებაზე

2017 წლის 30 მაისს ასოციაცია „საქართველოს მოსამართლეთა ერთობა“ გამოეხმაურა მოსამართლეთა და სასამართლოს თავმჯდომარეთა დანიშვნას იუსტიციის საბჭოს მიერ. ორგანიზაცია მიიჩნევდა, რომ იუსტიციის

უმაღლესმა საბჭომ ამ ჯერზეც ვერ გადადგა ნაბიჯები საზოგადოების ნდობის მოსაპოვებლად. მათი განცხადებით, „სიახლე არ არის, რომ მოქმედი საბჭოს საკადრო პოლიტიკა მიმართული იყო განსხვავებული აზრის ღიად დამფიქსირებელი მოსამართლეების განდევნისა და სისტემაში უკონკურენტო გარემოს შენარჩუნებისკენ“.[1]

ასოციაციის განცხადების შემდგომ, კანდიდატმა თამარ ზამბახიძემ, სხვა მოსამართლეებთან ერთად, დატოვა ეს გაერთიანება. მათი განმარტებით, გამოქვეყნებული განცხადება არ იყო შეთანხმებული და არ ასახავდა მათ პოზიციას.[2]

3. თამარ ზამბახიძის გასაუბრება იუსტიციის უმაღლეს საბჭოში

საბჭოს წევრის, ნაზი ჭანეზაშვილის შეკითხვა კანდიდატს: **„რა ორგანოა მოსამართლეთა კონფერენცია? რაში გამოგადგათ იგი?“**

მოსამართლე თამარ ზამბახიძის პასუხი:

> **მოსამართლეთა კონფერენცია არის მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანო და, ბუნებრივია, ძალიან მნიშვნელოვანი ორგანოა. დაწყებული საბჭოს წევრების არჩევით და შესაბამისი მანდატების მინიჭებით, დამთავრებული სამოსამართლო ეთიკის ნორმების მიღებით, სწორედ კონფერენციის ფუნქციას წარმოადგენს. ამდენად, რა თქმა უნდა, ეს ძალიან მნიშვნელოვანი ორგანოა, სადაც თითოეულ მოსამართლეს აქვს საშუალება, ვერბალურად თუ ხმის მიცემით დააფიქსიროს თავისი პოზიცია“.**

ნაზი ჭანეზაშვილის შეკითხვა კანდიდატს: **„ერთ-ერთ კონფერენციაზე თქვენ, მოსამართლეებმა, აირჩიეთ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი, დაახლოებით, 260 ხმით. ის ადამიანი, რომელიც კონფერენციამ აირჩია, სიტყვით არ გამოსულა, არაფერი უთქვამს, არც პროგრამა განუცხადებია, არც თავისი ხედვები... რით ახსნით ამ მოვლენას, რომ მოსამართლეები ირჩევენ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს, რომელმაც უნდა განახორციელოს ფუნქცია, მათ შორის, მოსამართლეების დისციპლინურ წარმოებაში მიიღოს მონაწილეობა, დანიშვნაში და ა.შ. [...]. მაღალფუნქციურობიდან გამომდინარე, საინტერესო იქნებოდა იმ ადამიანის ხედვები. თქვენ რით ახსნით იმ მოვლენას, რომ არანაირი გამოსვლა არ ყოფილა, თუმცა, ადამიანებმა მაინც დაუჭირეს მხარი?“**

მოსამართლე თამარ ზამბახიძის პასუხი:

> **გლობალურად შევეცდები, ვუპასუხო ამ შეკითხვას. ჯერ ვიტყვი, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების არჩევასთან დაკავშირებით, გარდა ნორმატიული რეგულირებისა, ეთიკური რეგულირების კონტექსტში ჩვენ ამ ეტაპზე ნორმები არ გვაქვს. მიუხედავად ამისა, მე ვკითხულობ იუსტიციის უმაღლეს სკოლაში კონკრეტულ ტრენინგებს პროფესიულ ეთიკასთან დაკავშირებით და იქ გვაქვს ჩვენ ერთი ნაწილი, რომელიც შეეხება არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებულ ეთიკურ ღირებულებებს. მინდა გითხრათ, რომ სხვადასხვა ქვეყანაში არის სხვადასხვა მიდგომა. უმეტეს ქვეყნებში არჩევნების ჩატარების კუთხით ეთიკური სტანდარტები ცალკე გამოყოფილი არ არის და ზოგადი ეთიკური სტანდარტები მოქმედებს ამ საკითხის განხილვისას. თუმცა, არის ძალიან საინტერესო მიდგომები. რაც შეეხება ქართულ რეალობას, ბუნებრივია, პრობლემურია, რომ მცირე რაოდენობის მოსამართლეები ვართ. ვისურვებდი, რომ მეტი მოსამართლე იყოს**

---

1 „რვა მოსამართლე „მოსამართლეთა ერთობას“ ტოვებს“, 2017 წლის 31 მაისი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2mdxbov

2 „მოსამართლეთა ერთობა კიდევ ექვსმა მოსამართლემ დატოვა“, 2017 წლის 1 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2mcFjFM

მოსამართლეთა კორპუსში, მაგრამ, მეორე მხრივ, ამისი შედეგი, დადებითი ეფექტი, ისაა, რომ გვაქვს საკმაოდ დიდი ცოდნა ერთმანეთზე. კარგად ვიცნობთ ერთმანეთის პროფესიულ უნარებს. [...] აქედან გამომდინარე, ჩვენი სიმცირე დადებით როლს თამაშობს. როცა მე მიმიღია მონაწილეობა, ყოველთვის ისეთი კანდიდატი ყოფილა დასახელებული, რომ მის შესახებ ინფორმაციას ვფლობთ და ცალკე მისი მოსაზრებების წარმოდგენა არ ყოფილა საჭირო, რადგან ვიცით მისი ხედვები. თუ სასამართლო კორპუსი გაიზრდება და მოხდება ისე, რომ კოლეგები ერთმანეთს არ იცნობენ და არ აქვთ ერთმანეთთან შეხება, იქ უკვე დგება ეთიკური საკითხი, როგორ უნდა მოხდეს კამპანიის წარმართვა, კოლეგებთან შეხვედრა, რათა მათ განსაზღვრონ, მისცენ კანდიდატს ხმა თუ არა“.

ნაზი ჯანეზაშვილის შეკითხვა კანდიდატს: „სახალხო დამცველის ანგარიში თუ გინახავთ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების არჩევასთან დაკავშირებით? ანგარიშში აღნიშნულია, რომ შერჩევის პირველი ეტაპი გარკვეულ კითხვებს აჩენს. თქვენ, როგორც გამოცდილ იურისტს, რომელსაც გაქვთ ამბიცია, რომ მეტი კარიერული წინსვლა გქონდეთ საქმიანობაში, ხომ არ გიქმნით დისკომფორტს პროცედურის ამგვარი შეფასება სახალხო დამცველის მიერ, რომელიც არგუმენტირებულია და კონკრეტულ ციფრებზეა დაყრდნობილი?“

მოსამართლე თამარ ზამბახიძის პასუხი:

ეს არის ვარაუდი. პირველი კენჭისყრა, რომელიც ჩატარდა შესაბამისი დოკუმენტაციის ბაზაზე, რომელიც არსებობდა. მე კონკრეტული განცხადების გაკეთება გამიჭირდება, თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ კონკრეტული კანდიდატების შესახებ დოკუმენტაციის შემოწმების შედეგად, სხვადასხვა პირს შეექმნას ერთნაირი წარმოდგენა. [...] არსებობდა ალბათ შესაბამისი დოკუმენტაცია, რომ კანდიდატს რამდენიმე პირმა დაუჭირა მხარი.“

საბჭოს წევრის, სერგო მეთოფიშვილის შეკითხვა კანდიდატს: „ჩვენ გვყავს ორი წევრი, პირდაპირ ვიტყვი: ანა დოლიძე და ნაზიბროლა ჯანეზაშვილი, რომელთა გადაწყვეტილებებიც შემთხვევათა 99%-ში ერთმანეთს ემთხვევა. როგორ ფიქრობთ, ეს წინასწარი შეთანხმებაა, შეთქმულება, თუ...?“

მოსამართლე თამარ ზამბახიძის პასუხი:

ვერაფერს ვიტყვი, გარდა იმისა, რომ მათ შეიძლება ერთსა და იმავე საკითხზე ინდივიდუალურად შეექმნათ ერთნაირი წარმოდგენა და ამ შემთხვევაში დაემთხვეს მათი პოზიცია“.

სერგო მეთოფიშვილის შეკითხვა კანდიდატს: „ქალბატონო თამარ, თქვენ დიდი გამოცდილება გაქვთ, როგორც სამოქალაქო, ისე ადმინისტრაციულ სფეროში. თქვენთვის ცნობილია თუ არა რომელიმე კონსტიტუციური ორგანოს ან კოლეგიური ორგანოს შესახებ, სადაც კონსულტაციები ერთმანეთში აკრძალულია? საბჭოზე არ არის საუბარი. მე არც ვმალავ, სანამ გადაწყვეტილება მივიღე, კონსულტაციები მქონდა რამდენიმე ადამიანთან. ეს ეკრძალებათ კოლეგიური ორგანოს წევრებს?“

მოსამართლე თამარ ზამბახიძის პასუხი:

საკითხი, რომელიც თქვენ ბრძანეთ ძალიან მნიშვნელოვანია. არათუ 3-4 წევრს, არამედ კოლეგიური ორგანოს ყველა წევრს შეუძლია ერთობლივად განიხილოს ესა თუ ის საკითხი, თუმცა ამის შემდეგ კოლეგიური ორგანოს გადაწყვეტილება ეფუძნება თითოეული წევრის ინდივიდუალურად მიღებულ გადაწყვეტილებას, დაუჭიროს თუ არა მხარი კონკრეტულ კანდიდატს“.

საბჭოს წევრის, ნაზი ჭანეზაშვილის შეკითხვა კანდიდატს: **„როდის გაგიჩნდათ ინტერესი, გამხდარიყავით უზენაესი სასამართლოს მოსამართლე? მაგალითად, დეკემბერში, როდესაც იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ წარადგინა ათკაციანი სია საქართველოს პარლამენტში, გქონდათ თუ არა სურვილი, რომ თქვენც ყოფილიყავით იმ სიაში?“**

მოსამართლე თამარ ზამბახიძის პასუხი:

ზუსტად თარიღის დასახელება გამიჭირდება, თუმცა, განვლილი გამოცდილების, დაგროვილი ცოდნის გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ მზად ვარ, განვაცხადო პრეტენზია ამ მნიშვნელოვანი თანამდებობის დასაკავებლად. რაც შეეხება იმ ათკაციან სიას, არსებული საკანონმდებლო რეგულაციის ფარგლებში, როდესაც ამ სიის წარდგენა განხორციელდა, არანაირი კონკრეტული რეგულაცია, რაც ამას აკრძალავდა, არ არსებობდა. აქედან გამომდინარე, იმ სიის წარდგენა კანონსაწინააღმდეგო ვერ იქნებოდა. შემდეგ, როდესაც უკვე დარეგულირდა ეს საკითხი, მე გადავწყვიტე, მიმეღო კონკურსში მონაწილეობა. ეს არ ნიშნავს, რომ უარყოფითად ვაფასებ თავის დროზე იმ ათკაციანი სიის წარდგენას. თუმცა, რაც უფრო ღია და გამჭვირვალეა პროცესი და საზოგადოებას მიეცემა მეტი კონტროლის განხორციელების საშუალება, უფრო უკეთ აისახება სასამართლოს იმიჯზე.“

ნაზი ჭანეზაშვილის შეკითხვა კანდიდატს: **„თქვენ ხელმძღვანელად მითითებული გყავთ ირაკლი შენგელია, პალატის თავმჯდომარე. რა დამოკიდებულება გაქვთ მის მიმართ? ვხედავ, რომ თვალებში უყურებთ, როცა რაღაცას ყვებით, და იგი თავს გიქნევთ. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ აღიქვამთ, როგორც ხელმძღვანელს“.**

მოსამართლე თამარ ზამბახიძის პასუხი:

ამ შემთხვევაში შემიძლია ვთქვა, რომ მოსამართლის თანამდებობა ერთადერთია, რომელიც დამოუკიდებლობის უმაღლესი სტანდარტით მოქმედებს. [...] აქედან გამომდინარე, რაც შეეხება მართლმსაჯულების განხორციელების საკითხს, არც პალატის თავმჯდომარე, არც სასამართლოს თავმჯდომარე, არ არის ის სუბიექტი, რომელთანაც გარკვეული ანგარიშვალდებულება თუ დაქვემდებარება შეიძლება ჰქონდეს მოსამართლეს. ეს არის მხოლოდ ადმინისტრაციული ფუნქციის მქონე სუბიექტი. მათთან კომუნიკაცია, ბატონ ირაკლისთან თუ მიხეილთან [ჩინჩალაძე], სწორედ ადმინისტრაციულ საკითხებთან არის დაკავშირებული. [...] რაც შეეხება ე.წ. თვალებით კონტაქტს, წარმოიდგინეთ, ოცდაერთწლიანი პედაგოგიური გამოცდილებისა და თოთხმეტწლიანი სამოსამართლო გამოცდილების გათვალისწინებით, გამომუშავებული მაქვს, რომ ყველა პირთან მქონდეს კონტაქტი, რათა ჩემ მიერ ჩატარებული ლექცია ან პროცესი არ დაემსგავსოს დიალოგს ერთ პიროვნებასთან“.

ნაზი ჭანეზაშვილის შეკითხვა კანდიდატს: **„14 წელია, მოსამართლე ბრძანდებით. 14 წლის განმავლობაში რაიმე ფორმატში, ეს იქნებოდა კონფერენცია, საბჭო თუ ნებისმიერი სხვა ფორმატი, რაიმე მნიშვნელოვან საკითხზე, რომელიც სასამართლო სისტემის წინაშე დგას, თუ გამოგიხატავთ განსხვავებული პოზიცია და გისაუბრიათ ღიად? მაგალითად, მოსამართლეთა დანიშვნის სისტემაზე, რომელიც გაკრიტიკებულია ყველა გარე აქტორის მიერ, ან მოსამართლეთა მივლინებაზე, დისციპლინაზე და ა.შ.?“**

მოსამართლე თამარ ზამბახიძის პასუხი:

უშუალოდ საბჭოს ფუნქციებთან დაკავშირებით, არ მახსენდება. თუმცა, როდესაც ყოფილა შეკრებები კანონმდებლობის ფორმირებასთან დაკავშირებით, მათ შორის, საბჭოსთან მიმართებაში და ა.შ. ჩემი სუბიექტური აზრი წლების წინ ერთ-ერთ კონფერენციაზე დაფიქსირებული იყო, რაც

იმ პერიოდში ყველას მხრიდან გაზიარებული არ ყოფილა. მაგალითად, როდესაც მოსამართლე წევრებს ეხება საკითხი, [საბჭოში] წარმოდგენილ იქნას სამივე ინსტანცია, დისციპლინურ სამართალწარმოებასთან დაკავშირებითაც დამიფიქსირებია ჩემი მოსაზრებები, სკოლასთან დაკავშირებითაც, სწავლის ხანგრძლივობასა და ბორდის ფუნქციების გაზრდაზე."

ნაზი ჯანეზაშვილის შეკითხვა კანდიდატს: „ლევან მურუსიძემ განაცხადა, რომ ის არის ლიდერი. როგორ ფიქრობთ, თქვენი ლიდერი არის თუ არა ლევან მურუსიძე?"

მოსამართლე თამარ ზამბახიძის პასუხი:

ჩემი პასუხი თქვენთვის უფრო აღქმადი რომ იყოს, დავაზუსტებ, რას ვგულისხმობ: ვინ არის ლიდერი? რას ნიშნავს ლიდერობა? ფსიქოლოგიაში ლიდერობა მოიაზრება, როგორც გარკვეულ სოციალურ ჯგუფზე სოციალური ზეგავლენა, რაც ნიშნავს იმას, რომ კონკრეტულ სოციუმში კონკრეტული პირი მოიპოვებს ლიდერობას. რაც შეეხება ბატონ ლევანს, იმ პერიოდში, როცა სასამართლოს მიმართ საკმაოდ ნეგატიური დამოკიდებულება იყო, ბატონმა ლევანმა გააჟღერა, რომ სასამართლოს დასაცავად სურდა გარკვეული ნაბიჯების გადადმა. იგი გახლდათ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი, რაც თავისთავად ნიშნავს, რომ კანონით გათვალისწინებული ხმები მან მოიპოვა. მეორე ფაქტორია ის, რომ იგი იყო და არის მოსამართლეთა ასოციაციის თავმჯდომარე. ეს ორივე საკითხი არის მოცემულობა, რომ მან ამ სოციუმში, კოლეგებში, ხმები მოიპოვა. შესაბამისად, იგი რომ ამ სოციუმში ლიდერია, ეს არის ფაქტი. თუმცა, არცერთი ლიდერი არ დგას კანონზე მაღლა..."

საბჭოს წევრის, ირმა გელაშვილის შეკითხვა კანდიდატს: „დავუშვათ, მოსამართლის მეუღლე რომელიმე პოლიტიკური პარტიის ლიდერია. ცხადია, როდესაც მეუღლეა, იმიტომ, რომ მიუკერძოებელი ჩანდეს, ამის გამო ვერავინ მოსთხოვს, რომ მეუღლესთან ერთად არ გამოჩნდეს სახალხოდ, მაგრამ, თუკი ამ მოსამართლის ოჯახში ხდება პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლების შეკრება, როგორ ფიქრობთ, დაარღვევს თუ არა ამით მოსამართლე სამოსამართლო ეთიკას? მაგალითად, საარჩევნო დავის შემთხვევაში, უნდა აიცილოს თუ არა მოსამართლემ შესაბამისი დავა?"

მოსამართლე თამარ ზამბახიძის პასუხი:

კანონმდებლობა უშუალოდ მოსამართლის პოლიტიკურ აქტივობას დეტალურად არეგულირებს (პოლიტიკური პარტიის წევრობა, ნებისმიერი აქტივობა); მეტიც, პოლიტიკური თანამდებობის პირზე საჯარო პოზიციის დაფიქსირებაც კი არაეთიკურად ითვლება. როდესაც საკითხი შეეხება მისი ოჯახის წევრს, მას ასეთი აკრძალვა არ აქვს... ბანგალორის პრინციპებიდან გამომდინარე, რომ არ შეიქმნას იმისი აღქმა საზოგადოებაში, რომ მოსამართლეც პოლიტიკურ ნეიტრალობას კარგავს, არის რეკომენდაცია, რომ თუ მოსამართლის მეუღლე პოლიტიკურ აქტივობას ახორციელებს, ეს არ გააკეთოს ისე, რომ მოსამართლეზეც იგივე აღქმა ჩამოუყალიბდეს საზოგადოებას. მაგალითად, აქტიური პოლიტიკური შეკრებები არ მოხდეს მათ სახლში, არ გადმოიფინოს პოლიტიკური პარტიის სიმბოლიკა ფანჯრიდან, სადაც მოსამართლე ცხოვრობს და ა.შ. რაც შეეხება აცილებას, იმდენად სენსიტიური თემაა, რომ ცალსახა პასუხის გაცემა გაგვიჭირდება, თუმცა, მეორე მხრივ, გონიერი დამკვირვებლის სტანდარტი რომ წარმოვადგინოთ, უნდა ვიხელმძღვანელოთ იმით, გაჩნდებოდა თუ არა გონიერი დამკვირვებლისთვის აცილების შესახებ შუამდგომლობა".

6. კანდიდატის ფინანსური ვალდებულებები და შემოსავლები

1. ქონება (უძრავი/მოძრავი)

2018
აგარაკი მცხეთაში
151 294 ₾
(243.4 კვ.მ)

2017
მიწის ნაკვეთი
მცხეთაში
88 200 ₾
(1 300 კვ.მ)

1987
მიწის ნაკვეთი
თბილისში
მემკვიდრეობა
(440 კვ.მ)

1987
სახლი თბილისში
მემკვიდრეობა
(160 კვ.მ)

2014
ავტომანქანა
NISSAN JUKE
34 825 ₾

2. ფინანსები



მოსამართლე თამარ ზამბახიძეს სამოსამართლო საქმიანობიდან 2010-2018 წლებში, შემოსავლის სახით, მიღებული აქვს 575,227 ლარი. ყველაზე მაღალი შემოსავალი – 80,875 ლარი – მიიღო 2014 წელს.

ამავე პერიოდში, მოსამართლეობის პარალელურად, კანდიდატი ეწეოდა აკადემიურ საქმიანობას, საიდანაც ერიცხებოდა ხელფასი – ჯამში, 155,538 ლარი.

მოსამართლის მეუღლე, ვარლამ კალანდაძე, რამდენიმე კომპანიის დირექტორი და პარტნიორია, კერძოდ, ესენია: შპს „გეოალკო“ (რომლის დამფუძნებელიც არის 2000 წელს), შპს „ბრაუდა“, შპს „ბობულუ“ და შპს „ყაზბეგი +“. ბოლო ორი საწარმო უკვე წლებია, აღარ ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას. 2016 წელს შევსებული დეკლარაციის მიხედვით, ვარლამ კალანდაძემ 500 ლარის შემოსავალი შპს „ბრაუდადან“ მიიღო.

2019 წელს შევსებული დეკლარაციის თანახმად, მოსამართლე თამარ ზამბახიძეს ორი მიმდინარე სესხი აქვს „TBC ბანკში“, ჯამურად, 93,500 აშშ დოლარის ოდენობით. სესხი მან მცეხეთაში აგარაკის მშენებლობისთვის აიღო.

მის მეუღლეს, ვარლამ კალანდაძეს, გაფორმებული აქვს ხელშეკრულება, რომლითაც თავდებად ჩაუდგა მესამე პირს, ვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით (12,423 ლარი). ამ მიზეზით, 2018 წელს მას ჰქონდა გასავალი – 5,408 ლარი.

კანდიდატის მეუღლე შპს „ყაზბეგი +“-ის 17%-იანი წილის მფლობელი და დირექტორია. აღსანიშნავია, რომ კომპანიის წილებს ინაწილებენ სხვა პარტნიორები, რომელთაგან 3 პირი – ირაკლი თოფაძე (20,000 ლარი), ნიკოლოზ სვანიძე (20,000 ლარი), ნიკოლოზ ბახტაძე (70,000 ლარი) – მმართველი პარტიის „ქართული ოცნების“ შემომწირველია. მათ პარტია „ქართულ ოცნებას“, ჯამში, 120,000 ლარი შესწირეს. ეს კომპანია უკვე წლებია, ეკონომიკურად აქტიური აღარ არის, თუმცა ფაქტია, რომ მოსამართლის მეუღლის პარტნიორები აქტიურად არიან დაკავშირებულნი მმართველ პარტიასთან.

ავტორები: ედუარდ მარიკაშვილი, ანა ნაცვლიშვილი, გიორგი ბერაია, ირაკლი გვარამაძე, ზაზა აბაშიძე

რედაქტორები: დავით პაიჭაძე, გიორგი ჩიტიძე, სოფიო ასათიანი, ინა გრიგალაშვილი დიზაინი: ბესიკ დანელია

ფონდი დოკუმენტის მომზადებაში შეტანილი წვლილისთვის მადლობას უხდის:
სალომე კვირიკაშვილს, მარიამ ორჟონიას, ლაშა ჯუღელს, თინათინ ჭაჭუკაშვილს, გვანცა კახიძეს,
თეონა ბაბუციძეს, ხატია ნიკოლაიშვილსა და შოთა ქობალიას

მომზადებულია საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის მიერ